

1. **ხედვა:** რა გესახებათ თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ყველაზე დიდ ამოცანად?

საქართველოს, როგორც პრეზიდენტის ყველაზე დიდ ამოცანად ითვლება:

- დემოკრატიული პრინციპების განმტკიცება-განვითარება;
- ბიუჯეტის პროფიციტის მიღწევა ეკონომიკასა და საგადასახადო სისტემაში, კონკრეტული პროგრამების შემუშავებითა და მათი სისტემაში განხორციელებით;
- სოციალური და კულტურული სფეროების განვითარება;
- თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება;
- სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შეთანხმებული მართვა, არსებული ამოცანებისა და პრობლემების მოკლე ვადებში გადაჭრისათვის;
- საზოგადოებრივი კაპიტალიზაციის ამაღლება.

2. **განათლება:** როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ? როგორ პოლიტიკას უჭერთ მხარს დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?

განათლების პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული საზოგადოებრივი კაპიტალიზაციის, როგორც ყველაზე პრიორიტეტული მიმართულების მუდმივი ზრდისაკენ. საგანმანათლებლო სისტემის ყველა შემადგენელი ნაწილი მთლიანად უნდა დაკომპლექტდეს თანამედროვე ავტომატიზებული სისტემებით. ასევე უნდა შემუშავდეს პროგრამები, საგანმანათლებლო სისტემის მუშაკების მუდმივი, ყოველწლიური ტესტირებისათვის, ევროკავშირსა და ამერიკაში არსებული პროგრამების მაგალითზე.

საშუალო საგანმანათლებლო სისტემაში უნდა დაინერგოს პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს ტალანტების აღმოჩენასა და რეკომენდაციებით მათ დარგობრივ დაკვალიანებას. პრაქტიკას სპეციალურად შექმნილი, ცალკე ნიჭიერ ბავშვთათვის არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზებზე. ასეთი სკოლები უნდა დაკომპლექტდეს ტესტირების პროგრამების მიერ შერჩეული მაღალი შეფასების მქონე სპეციალისტების მეშვეობით. უნდა შემუშავდეს ურთიერთთანამშრომლობის პროგრამები, ევროპისა და ამერიკის წამყვან სკოლებთან მოსწავლეთა გაცვლისა და განათლების მიღების დისციპლინაში. პროფესიული განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად უნდა იქნეს სახელმწიფოს მიერ არჩეული ეკონომიკური კურსის მოთხოვნის საფუძველზე შერჩეული დარგობრივი სპეციალობებისათვის სპეცპროგრამების შემუშავება, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვიყენოთ არსებული მიღწევები. უმაღლესი სკოლების, ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების საგანმანათლებლო სისტემაში აქტიურად უნდა დაინერგოს სწავლის დამთავრების შემდეგ სტუდენტთა დასაქმების პროგრამები.

განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული უნდა იქნეს ნიჭიერ სტუდენტთა სახელმწიფო დაფინანსების პროგრამა, სწავლების ნებისმიერ ეტაპზე საზღვარგარეთის

წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების პერსპექტივით. გაიზარდოს სახელობითი სტიპენდიებისა და გრანტების რიცხვი, სტუდენტთა სტიმულირებისათვის.

3. გადასახადები: *თქვენი აზრით, როგორი საგადასახადო სისტემაა მისაღები საქართველოსთვის და რა პრინციპით უნდა განისაზღვრებოდეს საშემოსავლო გადასახადი?*

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საგადასახადო სისტემას. რეკომენდებული იქნებოდა, რომ მიღებულ იქნეს საგადასახადო სისტემის ამერიკის მოდელი – მეტი შემოსავალი – პროგრესირებადი დაბეგვრა. საშემოსავლო დაბეგვრიდან უნდა განთავისუფლდეს მოსახლეთა ის ნაწილი, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი არ აღემატება 300 ლარს.

ბიზნესის დაბეგვრაში უნდა შემუშავდეს შეღავათიანი დაბეგვრის პროგრამა, რომელიც მიმართული იქნება (როგორც მაგალითი):

- ბიზნესისათვის, რომელშიც დასაქმებულია 500 და მეტი თანამშრომელი, მინიმალური ხელფასით 800 ლარი.
 - 300 და მეტი თანამშრომელი, მინიმალური ხელფასით 1000 ლარი;
 - 100 და მეტი თანამშრომელი, მინიმალური ხელფასით 1300 ლარი;
 - 50 და მეტი თანამშრომელი, მინიმალური ხელფასით 1600 ლარი, აღნიშნული მოთხოვნის ყოველწლიური ინდექსაციით;
- ბიზნესისათვის, რომლის სამუშაო არეალი არის სოფლის მეურნეობა.
- ბიზნესისათვის, რომლის საექსპორტო საქონელბრუნვა გასული წლის განმავლობაში აღემატება 1000000 აშშ დოლარს (როგორც მაგალითი).

პარალელურად უნდა შემუშავდეს საზოგადოებაში საშემოსავლო ბეგარის დროული გადახდის რეკლამირების პროგრამა.

4. ეკონომიკა: *როგორია თქვენი ხედვა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული და რა კონკრეტულ ინიციატივებს შესთავაზებდით საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს?*

ეკონომიკის ზრდის პირველი პირობა და საფუძველი არის საშუალო და მცირე ბიზნესის სტიმულირება, მათი რიცხოზობის გაზრდის მიზნით. ეს ნაბიჯი საშუალებას მოგვცემს არა მხოლოდ მოსახლეობის დასაქმების პრობლემის ნაწილობრივი გადაჭრისა, არამედ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში სწორი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, საზოგადოების საშუალო ფენის სწრაფ ზრდას, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო მენეჯმენტის შეფასების დონეს. ეკონომიკის ზრდის კიდევ ერთ პირობას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის განვითარებისათვის განვითარების პრივილეგირებული მიმართულებების

შერჩევა, რომელიც ეყრდნობა ქვეყანაში იმპორტირებული საქონლის რაოდენობას და სპეციფიკას.

მცირე და საშუალო ბიზნესი მიმართული უნდა იყოს ქვეყანაში არსებული დეფიციტის შესავსებად.

ეკონომიკის ზრდის კიდევ ერთი მიმართულება არის წარმოებისა და განათლების, კულტურისა და მომსახურების ექსპორტი, ინტელექტის იმპორტი.

ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა-გაფართოება.

5. დასაქმება: *თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ უნდა გადადგას უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად?*

უნდა შეიქმნას უმუშევართა სარეგისტრაციო ოფისები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს მათივე სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, შევქმნათ მოქალაქეთა პროფესიული გადამზადების პროგრამები, ჭარბიდან დეფიციტური პროფესიების მიმართულებით. შეიქმნას სამუშაო ადგილების შემქმნელი ორგანიზაციებისათვის მასტიმულირებელი პროგრამები. მათი ნაწილი ჩვენ ზემოთ განვიხილეთ (კითხვები -3, 4).

6. ჯანდაცვა: *რა პოლიტიკასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს დაუჭერდით მხარს რათა გაიზარდოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ამაღლდეს მისი ხარისხი?*

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის მისაღწევად, მოსახლეობის ყველა ფენისათვის საჭიროა აუცილებელი სამედიცინო დაზღვევის პოლისების შემოღება, რაც მოსახლეობას მისცემს უფასო მკურნალობის შესაძლებლობას. შემოღებული უნდა იქნეს ჯანდაცვის მუშაკების ყოველწლიური პროფესიული ტესტირება. საუკეთესო აპარატურით უნდა დაკომპლექტდეს სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტის ხარჯზე ჯანდაცვის დაწესებულებები.

უნდა შემუშავდეს მეტი კერძო სამედიცინო კლინიკების შექმნის მასტიმულირებელი პროგრამები. ქვეყნის ყველა რაიონში უნდა გაიხსნას პირველადი დახმარების ოფისები.

7. სოციალური უსაფრთხოება: *რა პოლიტიკას დაუჭერდით მხარს სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მისაღწევად?*

შესაბამისი სამინისტროს მიერ სოციალური უსაფრთხოების ზღვარს მიახლოებულ მოქალაქეთა დაცვის პროგრამების შემუშავება. სოციალური უსაფრთხოების დაცვაში მოქალაქეთა დაზღვევის აქტიური გამოყენება.

8. ადგილობრივი თვითმმართველობა: *თქვენი აზრით, რა პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში?*

ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა ეყრდნობოდეს არჩევითობის პრინციპს. ორგანოების დაკომპლექტება უნდა მოხდეს კონკურსის საფუძველზე.

9. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები: *რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგავთ ხალხთა შორის ნდობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის?*

ხალხთა შორის ნდობის აღდგენის ერთ-ერთი პრინციპი იქნება თავისუფალ ე.წ. ნეიტრალურ ტერიტორიაზე სავაჭრო ურთიერთობების შექმნა და შემდგომში მისი მრავალმხრივი განვითარება.

სახელმწიფოს მიერ უნდა გატარდეს გარკვეული სახის ღონისძიებები, ანექსირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების სოციალური პირობების დაცვის მიმართულებით.

უნდა იქნეს გადადგმული ნაბიჯები კულტურისა და სპორტის სფეროში თანამშრომლობისაკენ.

უნდა შემუშავდეს თითოეული ოჯახისათვის ე.წ. დახმარების პროგრამა, რაც უნდა ითვალისწინებდეს უფასო მოზარდთა განათლების მიღებას საქართველოში, საზღვარგარეთ სწავლების გაგრძელების პერსპექტივით.

10. უმცირესობათა უფლებები: *რას ფიქრობთ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საკითხზე?*

საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს საზოგადოებაში მოღვაწეობის თანასწორი უფლებები, მიუხედავად მათი სექსუალური ორიენტაციისა. თანასწორუფლებიანობა რეგულირდება კანონით, შესაბამისი დამცავი მექანიზმების საფუძველზე.

11. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში: *გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) და პოზიცია ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გაზრდისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.*

პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის ერთ-ერთი მეთოდია პროფესიონალიზმი, კონკურსებით გამოვლენილი შედეგების საფუძველზე, ასევე მათი დანიშვნა გარკვეული ბრძანებებით, რაც ეყრდნობა ხელმძღვანელის პირად არჩევითობას.

12. უმცირესობათა უფლებები: *რა პოლიტიკას გაატარებდით ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრაციისათვის?*

საერთოდ ეთნიკური უმცირესობის უფლებები ავტომატურად იქნება დაცული, თუ სახელმწიფოში გატარებული მოქალაქეობის კულტის რეკლამირების საფუძველზე მოხდება სახელმწიფოში არსებული ყველა ეთნიკური ჯგუფის, როგორც მცნების გაფერმკრთალება. როდესაც სახელმწიფოში არსებული ყველა ეთნიკური ჯგუფისათვის პრივილეგირებული მცნება არის მოქალაქეობის ინსტიტუტი, როდესაც სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართულია არა ნაციონალურობის გაღრმავებაზე, არამედ ნაციონალობების გაიგივებაზე, მოქალაქეობის როგორც მცნების ფარგლებში.

13. გარემოს დაცვა/ეკოლოგია: *გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისაკენ.*

გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის პოლიტიკა უნდა ემთხვეოდეს საერთაშორისო ნორმების მოთხოვნის ამ სფეროში.

14. საგარეო პოლიტიკა და სტრატეგიული თანამშრომლობა: *რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებას ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?*

საქართველოს საგარეო პოლიტიკა უნდა აიგოს სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე ამერიკის, ევროკავშირის, რუსეთის და მეზობელი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის გათვალისწინებით. ამასთან ერთად საგარეო პოლიტიკური კურსი უნდა ეფუძნებოდეს დემოკრატიულ პრინციპებს. ძირითადად უნდა ემსახურებოდეს არა მარტო განვითარებულ ქვეყნებთან ურთიერთობის გაღრმავებასა და განმტკიცებას, არამედ უნდა იყოს განვითარებულ ქვეყნებში ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე დაყრდნობილი ადამიანის უფლებათა დაცვის ბერკეტების შემქმნელი წყარო.

სამხედრო სტრატეგიული პარტნიორობის და თანამშრომლობის ფორმირება აუცილებლად უნდა გაგრძელდეს აშშ-სთან და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან. უნდა განვითარდეს სამხედრო თანამშრომლობა ევროკავშირის ქვეყნებთან და თურქეთთან, საერთაშორისო ტერორიზმისა და სეპარატიზმის წინააღმდეგ შექმნილი ფორმირებების შემადგენლობაში.

საფუძველი უნდა ჩაეყაროს ე.წ. 'ოდკბ'-სთან ინტერესების გადაკვეთის წერტილებში თანამშრომლობის ფორმირებას.

15. რეგიონული თანამშრომლობა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

საქართველო უნდა განიხილებოდეს სამხრეთ კავკასიაში, როგორც პოლიტიკაში ურთიერთობათა დაბალანსების ბერკეტი. აგრეთვე უნდა წარმოადგენდეს შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან როგორც ლოგისტიკურად ოპტიმიზირებული და საიმედო ტრანზიტული გზა შუა აზიის ქვეყნებთან, სავაჭრო და სამხედრო სფეროში ურთიერთობების დამყარების თვალსაზრისით.

16. თავდაცვის პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია? სამხედრო სამსახურის როგორ ფორმას უჭერთ მხარს?

ქვეყანაში უნდა არსებობდეს სამხედრო სამსახურის სავალდებულო, კონტრაქტული და ალტერნატიული ფორმა. თავდაცვის ორგანიზაცია უნდა იქნეს აგებული ნატოში გაწევრიანების საფუძველზე.

17. უსაფრთხოების პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა შედგება არა მარტო მჭიდრო ურთიერთობით ან კავშირებით გარკვეული წამყვანი ქვეყნების ან გაერთიანებების სამხედრო სტრუქტურებთან, არამედ მტკიცე პრიორიტეტებზე დაყრდნობილი კეთილმეზობლური ურთიერთობებითაც, რომელშიც ხშირ შემთხვევაში მოქმედებს როგორც ურთიერთობათა ბალანსის მთავარი წყარო.

18. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა: თქვენი აზრით, უნდა აიკრძალოს თუ არა ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა - აბორტი? რატომ?

ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა დასაშვებია გარკვეული (კანონით გათვალისწინებული) პერიოდის განმავლობაში, რაც საზოგადოების წევრების პირადი არჩევანია.

19. გადასახადები და კრედიტი: უნდა ჰქონდეთ თუ არა კრედიტორებს კრედიტის/გასესხებული თანხის იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი ფართის ხარჯზე ამოღების უფლება? რატომ?

ასეთი უფლება უნდა არსებობდეს, მაგრამ საზოგადოების ყოველ წევრს უნდა ჰქონდეს კანონით გათვალისწინებული ბანკროტობის, როგორც მდგომარეობის გამოცხადების

საშუალება. ამასთან უნდა არსებობდეს წევრის ასეთი რიგის მდგომარეობის დადგომის წინააღმდეგ სახელმწიფო პროგრამები.

20. მიწის საკუთრება: როგორ ფიქრობთ, უნდა შეეძლოს თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მიწა საქართველოში?

უცხო ქვეყნის მოქალაქეებს არ უნდა შეეძლოს შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მიწა საქართველოში. მათთვის შეიძლება განხორციელდეს არაგრძელვადიანი იჯარით გაცემა, გაგრძელების კონკრეტული პირობებით.